(1999)

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის უმაღლესი დონის სტამბოლის შეხვედრის **დეკლარაციიდან**

სტამბოლი, 1999 წლის 19 ნოემბერი.

15. კვლავ ვადასტურებთ რა მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი, ხაზს ვუსვამთ სამხრეთ ოსეთის ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის, საქართველო, კონფლიქტების გადაჭრის აუცილებლობას, კერძოდ, საქართველოს შემადგენლობაში ამ რეგიონების პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის გზით. ადამიანის უფლებების პატივისცემა და საერთო დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება, აგრეთვე ლტოლვილებისა და ადგილნაცვალი პირების დაუყოვნებელი, უსაფრთხო და უპირობო დაბრუნება ხელს შეუწყობს ამ კონფლიქტების მშვიდობიან მოწესრიგებას. ხაზს ვუსვამთ ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმის დიდ მნიშვნელობას. მივესალმებით უმაღლესი დონის ამ შეხვედრის დროს საქართველო-რუსეთის მოლაპარაკებებზე საქართველოში რუსეთის შეიარაღებისა და სამხედრო აღჭურვილობის შემცირების შესახებ მიღწეულ პროგრესს.

16. რაც შეეხება ცხინვალის რეგიონს/სამხრეთ ოსეთს, საქართველო, ამ კონფლიქტის გადაჭრის გზაზე მიღწეულ იქნა გარკვეული პროგრესი. ჩვენ ხაზს ვუსვამთ ამჟამად მიმდინარე დიალოგის შენარჩუნებისა და გააქტიურების მნიშვნელობას. შემდგომი პროგრესის შუქზე ჩვენ მიგვაჩნია, რომ უახლოეს დროში ამ რეგიონის ექსპერტთა მონაწილეობით ვენაში შეხვედრის გამართვა უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ გადაიდგას გადამწყვეტი ნაბიჯები მოწესრიგებისაკენ. დაინტერესებულ მხარეთა მიერ ლტოლვილთა და ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირების საცხოვრებლით უზრუნველყოფისა და ქონების დაბრუნებისათვის სამართლებრივი ჩარჩოების შექმნა ხელს შეუწყობს ლტოლვილთა და ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირების უსწრაფეს დაბრუნებას ამ რეგიონში. ჩვენ აგრეთვე დაბეჯითებით მოვუწოდებთ, სასწრაფოდ მოეწეროს ხელი ქართულ-რუსულ შეთანხმებას ეკონომიკის აღდგენის შესახებ და ვახალისებთ შემდგომ საერთაშორისო ეკონომიკური დახმარების გაწევას.

17. კვლავაც მხარს ვუჭერთ აფხაზეთში, საქართველო, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამყვან როლს. მხარს ვუჭერთ ამ კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის ძიების არსებული ჩიხიდან გამოსვლის დიდ მნიშვნელობას. ამასთან დაკავშირებით ჩვენ _ ჩვენს შორის განსაკუთრებით ისინი, რომლებიც შედიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის შემადგენლობაში, _ მზად ვართ ვითანამშრომლოთ გაეროსთან საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და აფხაზეთის, საქართველო, ხელისუფლებას შორის კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ დოკუმენტის პროექტის მოსამზადებლად და წარსადგენად. კვლავ ვაცხადებთ, რომ გადაჭრით ვგმობთ ეთნიკურ წმენდას, როგორც ეს ფორმულირებული იყო ბუდაპეშტისა და ლისაბონის უმაღლესი დონის შეხვედრებზე, რამაც გამოიწვია აფხაზეთში, საქართველო, უპირატესად ქართული მოსახლეობის განადგურება და იძულებითი განდევნა და ძალადობის აქტები 1998 წლის მაისში გალის რაიონში. დამბრუნებელ პირთა მდგომარეობის გამო გამოწვეულ შიშთან დაკავშირებით ვიძლევით რეკომენდაციას, რათა მომდევნო წლის მაისში გალის რაიონში გაიგზავნოს ფაქტების დამდგენი მისია ეუთოს და გაეროს მონაწილეობით, მათ შორის მიმდინარე "ეთნიკური წმენდის˜ შემთხვევების შესახებ ცნობების შესაფასებლად.

ასეთი მისია საძირკველს ჩაუყრიდა ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა უპირობო და უსაფრთხო დაბრუნებისადმი საერთაშორისო მხარდაჭერის გაფართოებას და ხელს შეუწყობდა საერთო სტაბილურობას რეგიონში. მიუღებლად და უკანონოდ ვთვლით ამ წელს აფხაზეთში, საქართველო, ეგრეთ წოდებული საპრეზიდენტო არჩევნებისა და რეფერენდუმის ჩატარებას.

(აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში. საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლება, საერთაშორისო ორგანიზაციები. 1989-1999 წ. წ. ნაწილი II ,1995-1999 წ. წ., ავტორები

და სარედაქციო კოლეგია: ვახტანგ ყოლბაია, თეიმურაზ ჭახრაკია, რაფიელ გელანტია, დავით ლაცუზ-ბაია, თბილისი, 2000, გვ. 332-333. საკუთარი თარგმანი)